

მობილური ინტერნეტის გამოყენების სიხშირე და ფუნქციები

მირანდა გობიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

gobianimiranda@hotmail.com

თინათინი მეზურიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

tiniko76@yahoo.de

ანოტაცია: სტატიაში განვიხილავთ მობილური ტელეფონით ინტერნეტის გამოყენების სიხშირესა და ფუნქციებს სქესისა და ასაკის მიხედვით მსოფლიო სტატისტიკური მონაცემებისა და ჩვენ მიერ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგების საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: მობილური ტელეფონი, მობილური ინტერნეტი, გამოყენების სიხშირე

I. შესავალი

2016 წელს სტატისტიკური მონაცემებით მობილური ინტერნეტის გამოყენებამ გადააჭარბა ინტერნეტის კომპიუტერით გამოყენებას. 2016 წელს ვებგვერდების 51,3% გამოყენებული იყო მობილური ტელეფონებიდან [1]. მდგომარეობა განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით (სქემა 1). გერმანიაში, ბრიტანეთში, ამერიკაში,

ირლანდიაში და ავსტრალიაში ისევ დომინირებს ინტერნეტის კომპიუტერით გამოყენება, ევროპაში მხოლოდ პოლონეთში გვაქვს მობილური ინტერნეტის მაღალი გამოყენების ხარისხი. მაგრამ მდგომარეობა საპირისპიროა მაგალითად ინდოეთში, ჩინეთსა და აფრიკულ ქვეყნებში. აქ ინტერნეტით მობილურის გამოყენება ისეთი მაღალია, რომ საერთო ჯამში მსოფლიო მასშტაბით, 2016 წელს მობილური ინტერნეტის გამოყენებამ გადააჭარბა ინტერნეტის კომპიუტერით გამოყენებას.


მსოფლიოში 2014 წლიდან დღემდე რეკორდული მასშტაბით იზრდება მობილური ინტერნეტის გამოყენებელთა რიცხვი. 2017 წელს მათი რაოდენობა 3 მილიარდამდე გაიზარდა. პროგნოზის მიხედვით 2019 წლისათვის იგი თითქმის 3,5 მილიარდს მიაღწევს (სქემა 2).

სქემა 1. ინტერნეტის მობილურით და კომპიუტერით გამოყენება ქვეყნების მიხედვით [2]

StatCounter Global Stats
Comparison Per Country from Oct to Nov 2016



სქემა 2. მობილური ინტერნეტის გამოყენებულთა რიცხვი მსოფლიო მასშტაბით [3].




II. მობილური ინტერნეტი საქართველოში

საინტერესოა რა მდგომარეობაა საქართველოში. ამისათვის ჩავატარეთ გამოკითხვა მობილური ტელეფონისა და მობილური ტელეფონით ინტერნეტის გამოყენების სიხშირისა და ფუნქციების დასადგენად სქესისა და ასაკის მიხედვით. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 464-მა ადამიანმა, ასაკი 11-დან 69 წლამდე (სქემა 3), მათგან 320 ქალი (სქემა 4) და 144 (სქემა 5) მამაკაცი. გამოკითხვაში ყველაზე აქტიური ქალებშიც და მამაკაცებშიც 20-დან 29 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი იყო (საერთო ჯამში 44%),


ყველაზე პასიური ორივე სქესის 60-69 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი (საერთო ჯამში 2.16 %). მონაწილეთა 95%-ს აქვს მობილური ტელეფონი, 5%-ს ტელეფონი არ აქვს, მაგრამ დროებით.

გამოკითხულები მობილურ ტელეფონს იყენებენ შემდეგი მიზნებისათვის: დარეკვა 98,70%, SMS-ის გაგზავნა 94,40%, MMS-ის გაგზავნა 14,70%, ელ-ფოსტის გაგზავნა 62,90%, ინფორმაციის მობილურ ინტერნეტში მოძებნა 90,50%, მუსიკის მოსმენა 87,50%, თამაში მობილური ტელეფონით 49,60%, სურათის გადაღება 94, 00%, ვიდეოს გადაღება 91,40% (სქემა 5).


სქემა 3. მონაწილეთა პროცენტული მაჩვენებელი ასაკის მიხედვით



სქემა 4. გამოკითხვაში მონაწილე ქალთა ასაკობრივი ჯგუფების პროცენტული მაჩვენებელი




სქემა 4. გამოკითხვაში მონაწილე მამაკაცთა ასაკობრივი ჯგუფების პროცენტული მაჩვენებელი




მაღალია მობილური ინტერნეტის გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი. მინიმუმ კვირაში ერთხელ მობილური ინტერნეტის მეშვეობით გამოკითხულთა 65,90% კითხულობს ახალ ამბებს, 19,80% აგზავნის ელ-ფოსტას, 70,70% ეძებს სხვადასხვა ინფორმაციას, 43,50% ამოწმებს ამინდის პროგნოზს და 83,20% იყენებს მას ონლაინ კომუნიკაციისათვის (სქემა 6). მობილურ აპლიკაციებს მინიმუმ დღეში

ერთხელ იყენებს გამოკითხულთა 32,80%, უყურებს ვიდეოს 64,20%, ტვირთავს ინტერნეტიდან მუსიკას და უსმენს 36,70%, იყენებენ ნავიგაციას 37,39%, თამაშობს ონლაინ თამაშებს 14,20%, იყენებს ბლოგებსა და ტვიტერს 21,10%, უყურებს სატელევიზიო პროგრამებს 15,50%, კითხულობს ელექტრონულ წიგნებს 10,20%, ინტერნეტით იძენს ნივთებს 1,30% (სქემა 7).


სქემა 5. მობილური ტელეფონის ფუნქციების გამოყენება



სქემა 6. მობილური ინტერნეტის გამოყენების ფუნქციები და სიხშირე (ნაწილი 1)



სქემა 7. მობილური ინტერნეტის გამოყენების ფუნქციები და სიხშირე (ნაწილი 2)



კვლევის დროს დავინტერესდით თავად გამოკითხულთა შეფასებებით, მათი დამოკიდებულებით მობილური ტელეფონის, მობილური ინტერნეტის მიმართ (ცხრილი 1). ცხრილში წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით მაღალი მაჩვენებელი აქვს მობილური ინტერნეტით მეგობრებთან უწყვეტი კავშირის შესაძლებლობას. ინტერნეტში პირადი მონაცემების უსაფრთხოების საკითხი გამოკითხულთა უმეტესობას არ აწუხებს .მობილური

ინტერნეტი მათი შეფასებით არაა ძვირი და საკმაოდჩქარიცაა.90%-ზე მეტი კმაყოფილია იმით, რომ ერთ პატარა მობილურ ტელეფონში „ყველაფერი“ აქვს და საკუთარ ტელეფონსმეგობარსაც კი უწოდებს. მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა თითქმის 80% ინტენსიურად იყენებს მობილურ ინტერნეტს, უმეტესობა არ თვლის, რომ იგი მათ ბევრ დროს ართმევს ანჯანმრთელობაზე ცუდად მოქმედებს.

ცხრილი 1.

შეფასება	კი %	არა %
ვიყენებ მობილურ ინტერნეტს, რადგან მინდა ყოველთვის მქონდეს მეგობრებთან ურთიერთობა	84,50	15,50
მნიშვნელოვანია ყოველთვის მქონდეს მობილურით ინტერნეტთან წვდომა	72,40	27,60
მინდა სულ ონლაინ ვიყო	24,60	74,40
ჩემს მობილურს/სმარტფონს ბევრი ფუნქცია აქვს, რაც არ მჭირდება	58,30	41,80
ინტერნეტი ჩემს ტელეფონში ძალიან ნელია	24,60	75,40
რთულია ინფორმაცია წაიკითხო ტელეფონში	32,80	64,20
მობილური ინტერნეტი ძვირია ჩემთვის	37,90	62,10
მეშინია, რომ ჩემი მონაცემები დაცული არ არის	44,80	55,20
ჩემი მობილური/სმარტფონი მაცდენს, ბევრ დროს მართმევს	44,40	55,60
ჩემი მობილური/სმარტფონი ცუდად მოქმედებს ჩემს ჯანმრთელობაზე	34,10	65,90
ჩემი მობილური/სმარტფონი ჩემი საუკეთესო მეგობარია	57,30	42,70
კარგია, რომ პატარა ტელეფონში „ყველაფერია“	91,80	8,20

III. დასკვნა

მობილური ინტერნეტის გამოყენების სიხშირე იზრდება, იგი უფრო ადვილად ხელმისაწვდომი, უფრო მობილური და მისი ფუნქციები უფრო მრავალფეროვანი ხდება, რაც იზიდავს, ერთის მხრივ, ახალგაზრდა თაობას, რადგან მობილური ტელეფონით კომუნიკაცია და გართობაა შესაძლებელი, და მეორეს მხრივ, ზრდასრულ ადამიანებს, რომლებიც პირადი მიზნების გარდა მობილურ ინტერნეტს სამსახურეობრივი მიზნებისათვის

იყენებენ. მობილური ინტერნეტი ახალი თაობის ფუფუნებაა, შესაბამისად გასაკვირი არაა, რომ მას 11-დან 49 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი იყენებს. სქესის მიხედვით ამ ასაკობრივ ჯგუფში მობილური ინტერნეტის გამოყენების თვალსაზრისით რაიმე არსებითი განსხვავება არ შეიმჩნევა. იმის გათვალისწინებით, რომ მობილური ტელეფონები და მობილური ინტერნეტი მომავალში კიდევ უფრო განვითარდება, მათი გამოყენების სიხშირე და გამომყენებელთა

რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება, საქართველოში მობილური ინტერნეტის გამოყენება დაიკავებს დომინანტურ პოზიციას ტრადიციულმედიაშუალელებს შორის და იგი შეუერთდება მსოფლიოს იმ ქვეყნებს, სადაც მობილური ინტერნეტის გამოყენებამ უკვე გადააჭარბა ინტერნეტის კომპიუტერით გამოყენების სიხშირეს.

გამოყენებული ლიტერატურა

[1]<http://www.bvdw.org/medien/mobile-internetnutzung-steigt-weiter-und-wird-vielfaeltiger?media=8172>
(10.05.2017)

[2]<https://www.heise.de/newsticker/meldung/Mobile-Internetnutzung-weiter-auf-dem-Vormarsch-3455624.html>(10.05.2017)

[3]
<https://de.statista.com/statistik/daten/studie/502548/umfrage/anzahl-der-nutzer-des-mobilen-internets-weltweit/> (5.06.2017).